



საქართველოს საზოგადოებრივი სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1938 წ. ნოემბრის 1

№ 6

თბილისი

შ რ ი ნ ა ა რ ს ი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

24. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებსა და ცენტრალურ დაწესებულებებში საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების შესახებ.
25. თბილისის ქალაქის ფაბრიკისათვის გადამუშავების მიზნით ჩასაბარებლად ქალაქის ნარჩენების (მაკულატურის) შეგროვების შესახებ.
26. მღრღნელების მოსაპობის ღონისძიებათა შესახებ.
27. „საქართველოს სსრ საბრეწველო სახალხო კომისარიატების მთავარ სამმართველოთა ორგანიზაციის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.
28. ყვავილის სავალდებულო აცრის, ყვავილის აცრის კონტროლისა და აღრიცხვის შესახებ.
29. 1938/39 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდის განათების საჭიროებისათვის ელექტროენერგიის ხარჯვაში ეკონომიის დაცვის შესახებ.
30. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

1933

24. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებმა და ცენტრალურ დაწესებულებებში ხაპროექტო და სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 26 თებერვლის დადგენილებისა „საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესებისა და მშენებლობის დაფინანსების მოწესრიგების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 9, მუხ. 58), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების სახალხო კომისარებს და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს:

ა) ერთი თვის ვადაში წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საეკგმო კომისიის საპროექტო სამუშაოთა შეფასებანი, ამასთან იხელმძღვანელონ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 26 თებერვლის დადგენილებით „საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესებისა და მშენებლობის დაფინანსების მოწესრიგების შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1938 წ. № 9, მუხ. 58) და ამ დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციით სამრეწველო მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენის შესახებ;

ბ) ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარმოუდგინონ ძირითადი დებულებანი საპროექტო-საძიებელ სამუშაოთა შესრულებისათვის დამპროექტებელთა გასამრჯელოს ანაზღაურების სისტემისა და წესის შესახებ იმ ანგარიშით, რომ ამ ანაზღაურებამ სტიმული მისცეს საპროექტო სამუშაოთა ხარისხისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებას;

გ) ერთი თვის ვადაში დააწესონ ნუსხა საუკეთესო ტიპური პროექტებისა. რომელთა გამოყენება რეკომენდებულია საქართველოს სსრ პირობებში, და ორი თვის ვადაში გამოსცენ ასეთები საპროექტო და მშენებელი ორგანიზაციების შერევაში გამოყენებლად;

დ) ორი დეკადის ვადაში შეიმუშაონ და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასანტკიცებლად წარმოუდგინონ იმ ობიექტების ნუსხა, რომელთაც არა აქვთ ტიპური პროექტები და რომელთათვისაც ტიპური პროექტები შეიძლება შეიმუშავებულ იქნას განსაზღვრულ ვადაში სთანადო სახალხო კომისარიატის ან ცენტრალური დაწესებულების საპროექტო ორგანიზაციის მიერ.

2. დაწესდეს, რომ ზელიმიტური მშენებლობის საპროექტო დავალებანი, ტექნიკური პროექტები და მათი ხარჯთაღრიცხვები დამტკიცდება:

ა) საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების ობიექტებისათვის—იმ წესით, რომელსაც დაადგენენ სსრ კავშირის სახალხო კომისრები;

ბ) საქართველოს სსრ რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების და ცენტრალურ დაწესებულებათა ობიექტებისათვის—საქართველოს სსრ სახალხო კომისრებისა და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ;

გ) აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის დაქვემდებარებული მშენებლობის ობიექტებისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისრების მიერ, აღნიშნული რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენით;

დ) ადგილობრივი ქვემდებარეობის ყველა სხვა ობიექტისათვის—საქართველოს სსრ სახალხო კომისრების მიერ, საქალაქო საბჭოებისა და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების წარდგენით.

ზ. ქველიმიტური მშენებლობის საპროექტო დავალებანი, ტექნიკური პროექტები და მათი ხარჯთაღრიცხვები დამტკიცდება:

ა) საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების ობიექტებისათვის იმ წესით, რომელსაც დაადგენენ სსრ კავშირის სახალხო კომისრები;

ბ) საქართველოს სსრ რესპუბლიკური სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალურ დაწესებულებათა ობიექტებისათვის—საქართველოს სსრ სახალხო კომისრებისა და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ;

გ) სასკოლო მშენებლობის ყველა ობიექტებისათვის—საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისრის მიერ;

დ) აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის დაქვემდებარებულ მშენებლობის ობიექტებისათვის (სასკოლო მშენებლობის ობიექტების გამოკლებით)—აღნიშნული რესპუბლიკების (სახალხო კომისართა საბჭოებისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ;

ე) იმ არასამრეწველო მშენებლობის (კომუნალური, საბინაო, სოციალურ-კულტურულ—საყოფაცხოვრებო, ადმინისტრაციული, სავაჭრო-სასაწყობო) ობიექტებისათვის, რომლებიც თბილისის საქალაქო საბჭოს ექვემდებარება (სასკოლო მშენებლობის ობიექტების გამოკლებით),—თბილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის მიერ;

ვ) ადგილობრივი ქვემდებარეობის ყველა სხვა ობიექტისათვის—საქართველოს სსრ სახალხო კომისრების მიერ საქალაქო საბჭოებისა და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების წარდგენით.

შენიშვნა. საქართველოს სსრ სახალხო კომისრებს შეუძლიათ გადასცენ რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების და იმ ქალაქების საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმებს, რომლებიც რაიონების შემაღვენლობაში არ შედიან, უფლება დაამტკიცონ საპროექტო დავალებანი, ტექნიკური პროექტები და მათი ხარჯთაღრიცხვები იმ არასამრეწველო მშენებლობის

ობიექტებისათვის (სასკოლო მშენებლობის გარდა), რომელიც ექვემდებარება სათანადო რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქალაქო საბჭოებს, როდესაც ობიექტის ღირებულება არ აღემატება 50.000 მანეთს (ხოლო ქუთაისის საქალაქო საბჭოსათვის—100.000 მანეთს).

ზ) სარეწაო, სამომხმარებლო, თევზჭერის და ინტეგრალური კოოპერაციის აგრეთვე ინვალიდთა კოოპერაციის მშენებლობის ობიექტებისათვის—იმ წესით, რომელსაც დაადგენენ ამ კოოპერატიული სისტემების საერთო-საკავშირო ცენტრები.

4. საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ცალკეული ობიექტების ტექნიკური პროექტები და ხარჯთაღრიცხვები დამტკიცდება იმ თანხების ფარგლებში, რაც ამ ობიექტებისათვის; დამტკიცებულია სარეწველო საწარმოთა გენერალურ ხარჯთაღრიცხვებით:

ა) საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების ზელიმიტური და ქველიმიტური ობიექტებისათვის--იმ წესით, რომელსაც დაადგენენ სსრ კავშირის სახალხო კომისრები;

ბ) რესპუბლიკური ქვემდებარეობის ზელიმიტური და ქველიმიტური ობიექტებისათვის-საქართველოს სსრ სახალხო კომისრების მიერ ანდა მათი დავალებით საქართველოს სსრ რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების მთავარ სამმართველოთა უფროსებისა და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ.

5. მშენებლობის ცალკეული სახეების ტიპური პროექტები დამტკიცდება:

ა) საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატების მშენებლობისათვის—იმ წესით, რომელსაც დაადგენენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო სახალხო კომისრები;

ბ) რესპუბლიკური და ადგილობრივი ქვემდებარეობის მშენებლობისათვის საქართველოს სსრ სათანადო რესპუბლიკური სახალხო კომისრების და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ.

6. სამუშაო ნახაზები სდგება დამტკიცებული ტექნიკური პროექტის საფუძველზე ამ პროექტების შემსრულებელი საპროექტო ორგანიზაციებისა და მოწყობილობის მიმწოდებელი ქარხნების პასუხისმგებლობით და დამტკიცებას არ საჭიროებენ.

მშენებლობაზე მიღებული სამუშაო ნახაზები შესასრულებლად გადაეცემა ასაშენებელი საწარმოს მთავარი ინჟინრის ხელმოწევით.

193 7. ამ დადგენილების გამოცემისთანავე გაუქმდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წლის 3 ნოემბრის დადგენილება „რესპუბლი-

კური და ადგილობრივი ქვემდებარეობის კაპიტალური მშენებლობის ტებისა და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების წესის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 28, მუხ. 172).

საქ. სსრ ს.კ.ს.ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. რ. ჯელიძე.

1938 წ. ივლისის 7. № 996.
თბილისი.

24.12
25. თბილისის ქალაქის ფაბრიკისათვის გადამუშავების მიზნით ჩასაბარებლად ქალაქის ნარჩენების (მაკულატურის) შეგროვების შესახებ.

თბილისის ქალაქის ფაბრიკის ქალაქის ნარჩენებით (მაკულატურით) მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ქალ. თბილისის ტერიტორიაზე მყოფ ყველა სახალხო კომისარიატს, დაწესებულებას, საწარმოსა და ორგანიზაციას მოაწყონ ყოველგვარი სახის ქალაქის ნარჩენების (მაკულატურის) სისტემატური შეგროვება თბილისის ქალაქის ფაბრიკისათვის გადამუშავების მიზნით ჩასაბარებლად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს წინადადება მისცეს ყველა სავაჭრო, ორგანიზაციის შესწევითონ გამოყენებული საკასო ჩეკებისა და საკონტროლო საკასო ლენტების მოსპობა და შენახვის ვადების გასვლის შემდეგ ჩააბარონ ასეთები როგორც ქალაქის ნარჩენები (მაკულატურა) თბილისის ქალაქის ფაბრიკას გადასამუშავებლად.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ცენტრალურ საარქივო სამმართველოს დააქაროს საარქივო საქმეების გადასინჯვა, რათა სამაკულატოროდ ამოღებულ იქნას ისეთი დოკუმენტები, რომელთა შენახვაც საჭირო არ არის.

4. წინადადება მიეცეს ორგანიზაციებს, რომელთაც დაგროვილი აქვთ შენახვის ვადაგასული დიდძალი საარქივო მაკულატურა (თბილისის საქალაქო არქივი, თბილისის ქალაქის საბჭოს წყალკანალტრესტი, საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, საზბანკი, პროფესიული კავშირები, საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკა, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო, თბილისის ქალაქის ტრამვაი, საქართველოს კომუნალური ბანკი, სსრ კავშირის სამრეწველო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კონტორა) ერთი თვის ვადაში ჩააბარონ ასეთი თბილისის ქალაქის ფაბრიკას.

5. მაკულატურის ჩაბარება თბილისის ქალაქის ფაბრიკისათვის მოხდეს იმ ფასებში, რაც დაწესებულია მაკულატურის სახელმწიფო დასამუშავებელი ფასების პრეისკურანტით,

6. დაევალოს ამა დადგენილების 1 მუხლში გათვალისწინებული სახალხო კომისარიატების, დაწესებულებების, საწარმოებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს გამოჰყონ სპეციალური პასუხისმგებელი პირები ქალაქის ნარჩენების (მაკულატურის) შერჩევისა და თბილისის ქალაქის ფაბრიკისათვის გადასამუშავებლად ჩაბარების დაჩქარების მიზნით.

სახალხო კომისარიატებმა და ცენტრალურმა დაწესებულებებმა მისცენ ადგილებს სპეციალური დავალება, რათა ჩააბარონ ქალაქის ნარჩენები (მაკულატურა) ამა დადგენილების შესაბამისად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. ხტურუა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. დ. ა. რ. ჰელიძე.

1938 წ. ივლისის 17. № 1069.
თბილისი.

922.1

26. მღრღნელების მოსპობის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მღრღნელების (ვირ-თაგვების და თავ-ვეების), აგრეთვე ბელელ-საწყობების სხვა მავნებლებისა და პარაზიტების (ტკიპების, ბელლის ბოვანოს და სხვ.) მოსპობის სანიტარულ-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებას, საწარმოსა და ორგანიზაციას, რომელთა გამგებლობაშია იმყოფება ქალაქებსა, მუშათა და საკურორტო დაბებში მდებარე მაღაზიები, ბელლები, საპროდუქტო და სასაქონლო საწყობები, რომლებიც დაკავშირებულია სასურსათო ტვირთების, საქონლის და მათი გადაამუშავების პროდუქტების შენახვასთან, — დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისა და საწყობების გამგეთა პასუხისმგებლობით გაატარონ ღონისძიებანი მღრღნელების (ვირ თაგვებისა და თავვეების), აგრეთვე ბელელ-საწყობების სხვა მავნებლების (ტკიპების, ბელლის ბოვანოს და სხვ.) მოსაპობად.

2. დაევალოს ამა დადგენილების 1 მუხლში მოხსენებულ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებას, საწარმოსა და ორგანიზაციას ორი დეკადის ვადაში დასდონ საქართველოს სსრ თავდაცვათა დეპარტამენტის სადგეგმარაციო რაზმთან, ან მის ქვედაყოფებთან ადგილებზე (სადგეგმარაციო ოცეულები და ათეულები) ხელშეკრულებანი მღრღნელების, ბელელ-საწყობების მავნებლებისა და პარაზიტების მოსპობის სამუშაოთა ჩატარების შესახებ, ხელშეკრულებებში გა-

ითვალისწინონ ანგარიშსწორება სადერატიზაციო და სადენინსექციო სამუშაოებისათვის ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა ანდა ფაქტიურად დამზადებული დამზარე მასალების განადგობის წესით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს წინადადება მისცეს თავის ადგილობრივ ორგანიზებს რეგულარულად აღმოაჩინონ საქართველოს სსრ თავდაცვაავიაციის სადერატიზაცია რაზმს და პის ქვედანაყოფებს ადგილებზე სადერატიზაცია და სადენინსექცია სამუშაოთა ჩატარების საქმეში, აგრეთვე კონტროლი გაუწიონ სამუშაოთა დროულად და ხაოსისობრივად ჩატარებას.

4. სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, აგრეთვე საწყობების გამგეებს ამა დადგენილების 1 მუხლის დარღვევისათვის ადმინისტრაციული წესით დაედებათ ჯარიმა 100 მანეთამდე ან იძულებითა მუშაობა ერთ თვემდე „ადმინისტრაციულ გადასახდელთა დებულებით“ გათვალისწინებული წესების დაცვით (საქ. სსრ კან. კრ. კრ. 1931 წ., № 20, მუხ. 207; 1932 წ. № 24, მუხ. 236; 1937 წ. № 14, მუხ. 102).

5. გაუქმებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს 1937 წ. 25 თებერვლის № 203 დადგენილება „საქალაქო მეურნეობის მაგისტრატებთან ბრძოლის ღონისძიებათა ჩატარების შესახებ“.

საქ. სსრ ს.კ.ს.ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. სტურუა.

საქ. სსრ ს.კ.ს.ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. რ. კელიძე.

1938 წ. ივლისის 17. № 1072.

თბილისი.

21.4.1

27. „საქართველოს სსრ მრეწველობის სახალხო კომისარიატების მთავარ სამმართველოთა ორგანიზაციის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

ნაწილობრივ შესაცვლელად და დასამატებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს 1938 წლის 5 იანვრის დადგენილებისა „საქართველოს სსრ სამრეწველო სახალხო კომისარიატების მთავარი სამმართველოების ორგანიზაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 4, მუხ. 14), საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით:

1. კახეთისა სატყეო-სამრეწველო მეურნეობისაგან და ახვტის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მშენებლობისაგან შეიქმნას თელავის სატყეო მეურნეობა ად-



გილსამყოფელით ქალ. თელავში და ახმეტის სატყეო კომბინატი — ადგილსამყოფელით სოფ. ახმეტაში.

2. თბილისის სატყეო-სამრეწველო მეურნეობისაგან შეიქმნას თიანეთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა — ადგილსამყოფელით თიანეთში და თბილისის სატყეო სამრეწველო მეურნეობა — ადგილსამყოფელით ქალაქ თბილისში.

3. გამოირიცხულ იქნას საქმთავტყემრეწვის საწარმოთა რიცხვიდან: საკილაოს ხე-ტყის სახერხი ქარხანა, ჯალაბეთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა, ხორაგოულის სატყეო სამრეწველო მეურნეობა და თელავის, თბილისის, ხაშურის, ბორჯომის და ჯალაბეთის ავტობაზები.

4. გამოირიცხულ იქნას საქმთავტყემეურნეობის საწარმოთა რიცხვიდან ბორჯომის სატყეო მეურნეობა.

5. შეტანილ იქნას საქმთავტყემრეწვის საწარმოთა რიცხვში:

ა) თბილისის ფანერის ქარხანა, რომელიც საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ გადაცემულია 1938 წლის ივნისში;

ბ) ახმეტის სატყეო კომბინატი;

გ) თიანეთის სატყეო-სამრეწველო მეურნეობა;

დ) კაკასხიდის ხე-ტყის სახერხი ქარხანა.

6. შეტანილ იქნას საქმთავტყემეურნეობის საწარმოთა რიცხვში:

ა) თელავის სატყეო მეურნეობა;

ბ) გურჯაანის სატყეო მეურნეობა.

7. მატერიალურ ტექნიკური მომარაგების საბაზისო საწყობი გადაკეთებულ იქნას საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქმთავტყემრეწვთან არსებულ მატერიალურ ტექნიკური მომარაგების კონტორად.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი მ. ნანეიშვილი.

1938 წ. სექტემბრის 20. № 1691.

თბილისი.

921.3

28. ყვავილის სავალდებულო აცრის, ყვავილის აცრის კონტროლისა და აღრიცხვის შესახებ.

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყვავილით დაავადების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მოქალაქისათვის ყვავილის სავალდებულო აცრა: პირველად (ვაქცინაცია) სიცოცხლის პირველი წლის განმავლობაში და განმეორებით (რევაქცინაცია) 4-5 წლის

ასაკში და 10-11 წლის ასაკში, ხოლო მესამე რევაქცინაცია მამაკაცთა ჩატარდეს წითელ არმიაში გაწვევის დროს ხოლო ქალებისათვის—19-20 წლის ასაკში.

2. ერთ წლამდე ასაკის ბავშვთა ვაქცინაციისა და 4-5 წლის ასაკის და 10-11 წლის ასაკის ბავშვთა რევაქცინაციის თავის დროზე ჩატარებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროს მშობლებს.

3. დაევალოს ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო და სარაიონო ორგანოებს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი წესის თანახმად, ყოველთვიურად ამოსწირონ საქალაქო და სარაიონო მშჩის სააქტო წიგნებიდან ცნობები დაბადებულთა შესახებ.

4. დაევალოს სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების სკოლებისა და სხვა სასწავლებლებს (უმალღესი სასწავლებლები, ტექნიკუმები, საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლები და სხვ.) გამგეებს სასწავლებლებში მიღებისას მოითხოვონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ რევაქცინაციის შესახებ გაცემული ოფიციალური ცნობების წარდგენა.

ამ დაწესებულებათა გამგეები ვალდებული არიან წარუდგინონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს ამ დაწესებულებებში მყოფ 4-5, 10-11 და 19-20 წლის ასაკის ყველა პირის სიები,—რომლებსაც არ აქვთ ამ ასაკში რევაქცინაციის მოწმობები, აგრეთვე იმ პირთა სიებიც, რომელთაც სრულიად არ აუტრიათ ყვავილი.

5. ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა ჩატარონ რევაქცინაცია მამაკაცებისა წითელ არმიაში გაწვევის დროს, ქალებისა 19-20 წლის ასაკში, აგრეთვე 4-5, 10-11 წლის ასაკის ბავშვებისა, რომლებიც სკოლაში არ სწავლობენ, საცხოვრებელ ადგილზე იმ სიების მიხედვით, რომლებსაც საქალაქო ტიპის ადგილებში წარმოადგენენ სახლმმართველოები და სასოფლო ადგილებში—სასოფლო საბჭოები.

6. ყვავილის აცრის ორგანიზაცია ქალაქებში, რაიონებში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში დაეკისროს ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებს.

7. ყვავილის აცრის გეგმების შედგენისა და მისი ჩატარებისათვის ხელმძღვანელობის გაწვევა დაეკისროს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ეპიდემიურ სამმართველოს და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატების სათანადო სანიტარულ-ეპიდემიურ ორგანოებს.

ყვავილის აცრა ხორციელდება ქალაქებში—ასაცრელ უბნებზე და სასოფლო ადგილებში—სამედიცინო უბნებზე ყვავილის ამცრელი პერსონალის მეშვეობით.

სასოფლო ადგილებში ყვავილის აცრის ჩასატარებლად მიზიდულ უნდა იქნას აგრეთვე უბნის სამუშაო სამედიცინო პერსონალი.

8. დაწესდეს, რომ ქალაქებში მოსახლეობის 25 ათას კაცზე უნდა მოდიოდეს ყვავილის ამცრელი ერთი მუშაკი და სასოფლო ადგილებში—ერთი მუშაკი მოსახლეობის არაუმეტეს 20 ათას კაცზე. ყვავილის ამცრელთ უნდა ჰქონდეთ საშუალო სამედიცინო განათლება. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატმა გაითვალისწინოს თავის გეგმებში ყვავილის ამცრელთა კადრების საჭირო რაოდენობის მომზადება.

9. ის პირნი, რომლებიც თავს აარიდებენ ყვავილის საწვლადებულო აცრას, თანახმად ამ დადგენილების 1 მუხლისა, მიცემულ იქნან პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 200 მუხლის მიხედვით.

10. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს ერთი თვის ვადაში გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარების შესახებ.

11. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის 16 ივლისის დადგენილება „ყვავილის საწვლადებულო აცრის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1923 წ. № 2, მუხ. 4).

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე ვ. ზაქარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საჭმეთა მმართველი მ. ნანეიშვილი.

1938 წ. სექტემბრის 26. № 1766.

თბილისი.

24.011

29. 1938/39 წლის შემოდგომა—ზამთრის პერიოდის განათების საჭიროებისათვის ელექტროენერგიის ხარჯვაში ეკონომიის დაცვის შესახებ.

თანახმად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 1938 წლის 29 აგვისტოს № 69 დადგენილებისა „1938/39 წლის შემოდგომა—ზამთრის პერიოდის განათების საჭიროებისათვის ელექტროენერგიის ეკონომიურად ხარჯვის შესახებ“ და შესაცვლელად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 4 სექტემბრის № 1532 დადგენილებისა „ქალაქ თბილისში ელექტროენერგიის ხარჯვის ეკონომიის დაცვის ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს ქალაქებში 1938/39 წლის შემოდგომა—ზამთრის პერიოდისათვის განათების შემდეგი მაქსიმალური ნორმები ვატობით ფართობის 1 კვადრატულ მეტრზე:

ა) მსხვილი სპეციალიზებული, უნივერსალური მალაზიებისა და აფთიაქებისათვის არაუმეტეს 10 ვატისა;

ბ) დანარჩენი სავაჭრო საწარმოებისათვის—არაუმეტეს 7 ვატისა;



გ) სანახაობათა საწარმოებისა, კლუბებისა, თეატრების სადგომებისა (გარდა სცენისა), ბიბლიოთეკებისა, მუზეუმებისა და გამოფენებისათვის—არაუმეტეს 10 ვატისა;

დ) დაწესებულებებისა, კაფეებისა, რესტორანებისა და სასადილოებისათვის—არაუმეტეს 8 ვატისა;

ე) აბანოებისა და სამრეცხაოებისათვის—არაუმეტეს 7 ვატისა;

ვ) სასტუმროებისათვის—არაუმეტეს 6 ვატისა.

2. დაევალოს ამ დადგენილების 1 მუხლში აღნიშნულ დაწესებულებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს შეამცირონ 1938/39 წლის შემოდგომა—ზამთრის პერიოდის განათების საჭიროებისათვის ელექტროენერგიის, ხარჯვა, 1937 წლის სათანადო თვეების ფაქტიურ ხარჯვასთან შედარებით, არანაკლებ 20% -სა, რისთვისაც 1 მუხლში აღნიშნული განათების ნორმების ზუსტად დაცვის გარდა დამატებით ჩაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) ყველა მაღაზიაში ვაჭრობის დამთავრების შემდეგ ჩააქრონ სინათლე და დასტოვონ მხოლოდ მორიგი განათება არაუმეტეს 16 ვატისა სავაჭრო დარბაზის 100 კვ. მეტრ. ფართობზე მაღაზიების თვითეული ვიტრინის განათების ზღვრული სიმძლავრე ვაჭრობის საათებში დააწესონ არაუმეტეს 100 ვატისა, ხოლო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ დასტოვონ ვიტრინებში მორიგი ელნათური არაუმეტეს 25 ვატისა, მორიგი განათება ჩააქრონ გათენებისას;

ბ) სარეკლამო განათება, გარდა აფთიაქებისა, გამოართონ არაუგვიანეს ღამის 12 საათისა;

გ) თეატრების მთელი გარეგანი განათება (გარდა მორიგი განათებისა) ჩააქრონ სპექტაკლის დაწყების შემდეგ, ამასთან გარეგანი სინათლე ანთონ სპექტაკლის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე.

3. აიკრძალოს ელექტრო-ლუმენებითა სარგებლობა გათბობის მიზნებისათვის დაწესებულებებსა და საწარმოებში, აგრეთვე დაევალოს საცხოვრებელი სახლების მმართველებს არ დაუშვან 16 ვატს ზევით ელნათურებით სარგებლობა კიბის ბაქნებისა, ღერეფნებისა და საპირფარეშოებისათვის.

4. დაწესდეს ელექტროენერგიის ხარჯვის შემდეგი ლიმიტი ქალაქ თბილისის ქუჩების გასანათებლად:

ოქტომბერი	238 ათ. კილოვატსაათი ნაცვლ.	436 ათ. კილოვატსაათისა	1937 წ.
ნოემბერი . . .	268 " " "	455 " "	"
დეკემბერი . . .	320 " " "	468 " "	"
იანვარი	286 " " "	411 " "	1938 წ.
თებერვალი . .	228 " " "	346 " "	"
მარტი	220 " " "	359 " "	"

დაწესებული ლიმიტები მიღწეულ უნდა იქნას შემდეგნაირად: შემცირდეს ქუჩების განათების დაწესებული სიმძლავრე 20% -ით, შეიცვალოს ლამპებით უფრო ნაკლები სიმძლავრის ლამპებით, აგრეთვე გამოიართოს შუქოვანი წერტილები ერთი შუქოვანი წერტილის გამოტოვებით.



5. დაწესდეს ქუჩების განათების შემდეგი გრაფიკი ქალაქ თბილისისათვის:

ქუჩის განათების გამორთვა და ჩართვა:	ელნათურების გამორთვა სახლების ნომრებთან:
ოქტომბერი 18 ს. 35 წუთიდან 6 ს. და 00 წ-დე	დილის 6.00 საათზე
ნოემბერი 18 ს. 05 წუთიდან 6 ს. და 50	" " 6.50 "
დეკემბერი 17 ს. 20 წუთიდან 7 ს. და 25	" " 7.25 "
იანვარი 18 ს. 00 წუთიდან 7 ს. და 20	" " 7.20 "
თებერვალი 19 ს. 05 წუთიდან 6 ს. და 45	" " 6.45 "
მარტი 19 ს. 35 წუთიდან 6 ს. და 00	" " 6.00 "

6. დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს ამ დადგენილებების საფუძველზე გამოსცეს სავალდებულო დადგენილება ელექტროენერჯის ხარჯვის მოწესრიგებისა და ეკონომიის შესახებ და დააწესოს ქალაქ თბილისისათვის ელექტროენერჯის მოხმარების ლიმიტები 1938/39 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის ამ დადგენილების 1 მუხლში აღნიშნული მომხმარებლების მიერ განათების საჭიროებათა მიხედვით.

7. დაევალოს ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის, ცხაკაიას, გორის, ხაშურის და ზესტაფონის საქალაქო საბჭოებს ამ დადგენილების საფუძველზე გამოსცენ სავალდებულო დადგენილება ელექტროენერჯის ხარჯვის მოწესრიგებისა და ეკონომიის შესახებ, ამასთან დააწესონ ცალკე თვითეული ქალაქისათვის ქუჩის განათების, გამორთვისა და ჩართვის საათები და ამ დადგენილების 1 მუხლში აღნიშნული მომხმარებლების მიერ განათების საჭიროებისათვის ელექტროენერჯის მოხმარების ლიმიტები 1938/39 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის.

8. განათების საჭიროებისათვის ელექტროენერჯის ხარჯვის ამ დადგენილებით დაწესებული ნორმების დაცვის პასუხისმგებლობა დაეკისროს დაწესებულებების საწარმოების ხელმძღვანელებს, მალაზიების დირექტორებს და სახლის მმართველებს, ხოლო ქალაქ თბილისისა და ქუთაისის ქუჩების განათების მზრით თელასსა და ქუთესს, დანარჩენ ქალაქებში — საქალაქო საბჭოების ქალაქის კომუნალურ განყოფილებათა გამგეებს.

9. დაწესდეს, რომ დაწესებულებების, საწარმოების, მალაზიებისა და სხვ. მიერ განათების საჭიროებისათვის და ქუჩების განათებისათვის დახარჯული ელექტროენერჯია თვითეული მათგანისათვის დაწესებულ ლიმიტს ზევით ანაზღაურდება არსებული ტარიფის ხუთმაგი ოდენობით ჯარიმის დადებით და ამ დადგენილების ურჩ დამრღვევთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით.

10. დავალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს დააწესოს კონტროლი მე-9 მუხლში აღნიშნული საჯარიმო ტარიფის გადახდევინებაზე, ხოლო აქედან მიღებული სახსრები გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში.

საქ. სსრ ს.კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ.დ.ა. მ. ნანეიშვილი.

1938 წ. სექტემბრის 29. № 1790.

თბილისი.

30. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 8 იანვრის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 5, მუხ. 21):

1. გაუქმდეს საგეგმო-საფინანსო განყოფილების შემადგენლობაში შემავალი საბუჟალტრო აღრიცხვის ჯგუფი და დოკუმენტალური რევიზიის ცალკე ჯგუფი.

აღნიშნული ჯგუფების ნაცვლად, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში მოეწყოს ცენტრალური ბუჟალტერია დამოუკიდებელი განყოფილების უფლებებით, რომელსაც ექნება საფინანსო კონტროლისა და დოკუმენტალური რევიზიის ჯგუფი.

2. საქმთავადნმრეწვის საწარმოთა შემადგენლობიდან საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის საქმთავსაშენმასალის გამგებლობაში გადაეცეს შედეგი საწარმოები: საქუჩიქალი, საქტეშენიტი და ხულონის ალებასტრი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1938 წ. ოქტომბრის 3. № 1809.

თბილისი.

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

ფასი 25 კაპ.

საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა